სადოქტორო პროგრამა „ფსიქოლოგია“

ფსიქოლოგიის სადოქტორო პროგრამაზე შერჩევის პროცედურა მოიცავს სამ კომპონენტს: (1). კვლევითი თეზისი (წერილობით), (2). პრეზენტაცია და (3). გასაუბრება.

1. **კვლევითი თეზისი** წარმოადგენს აპლიკანტის სამეცნიერო კვლევის აკადემიურ განაცხადს, რომელიც მოიცავს საკვლევი საკითხის დასმას, საკვლევი საკითხის გარშემო არსებული ლიტერატურის ანალიზს, საკლევი საკითხის აქტუალურობასა და სიახლეს.
   კვლევითი თეზისის სტრუქტურა:
   - საკვლევი საკითხის დასმა
   - საკვლევი საკითხის გარშემო არსებული ლიტერატურის ანალიზი
   - საკვლევი საკითხის აქტუალობა და სიახლე
   - კვლევის სავარაუდო დიზაინი / მეთოდოლოგია
   - გამოყენებული ლიტერატურა

   კვლევითი თეზისი წარმოდგენილი უნდა იყოს 7-10 გვერდზე.

2. **პრეზენტაცია** ფოკუსირებულია კვლევითი თეზისის საკვანძო ასპექტებზე
   პრეზენტაციისთვის გამოყოფილი დრო: 15-20 წუთი

3. **მიმღების კომისიის წევრების გასაუბრება აპლიკანტთან**
   გასაუბრებისთვის გამოყოფილი დრო: 15 წუთი

	შეფასების სქემა	შეფასება
I. კვლევითი თეზისი (60 ქულა)		
1.	ორგანიზება: სტრუქტურა და თანმიმდევრულობა	5
2.	თემის ადეკვატური გაგება და გააზრება; პრობლემის გამოკვეთა და ანალიზი	10
3.	კორექტულობა, მაღალი სტანდარტის მტკიცებულებები (განხილული ლიტერატურის შესაბამისობა და საიმედოობა)	10
4.	კვლევის ვალიდური დიზაინი	10
5.	კვლევის სამეცნიერო ღირებულების დასაბუთება (სიახლე, წვლილი ახალი ცოდნის შექმნაში)	10
6.	კვლევის პრაქტიკული ღირებულების დასაბუთება	10
7.	ენობრივი გამართულობა და სიცხადე; APA სტანდარტის დაცვა	5
II. პრეზენტაცია (20 ქულა)		
1.	**პრეზენტაციის სტრუქტურა:** პრეზენტაციის წარმოდგენა მკაფიო, ლოგიკური, თანმიმდევრული ფორმით; პრეზენტაციის ფოკუსირება საკვანძო საკითხებზე	5
2.	**ანალიზი და არგუმენტირება:** საკვლევის პრობლემისა და მისი გადაჭრისათვის დაგეგმილი სამუშაოს გააზრებული, დამაჯერებელი ანალიზი.	5
3.	**აუდიტორიასთან კონტაქტი:** აუდიტორიის ინტერესის პროვოცირება და შენარჩუნება; ვიზუალიზაცია	5
4.	კითხვებზე ადეკვატური, არგუმენტირებული პასუხები	5
III. გასაუბრება (20 ქულა)		
1.	სადოქტორო პროგრამაზე ჩაბარების მოტივაცია	5
2.	მომავალი საქმიანობის პერსპექტივის გააზრება	5
3.	ფსიქოლოგიის მეცნიერების კონტექსტში საკვლევი თემატიკის ხედვა	5
4.	მეტყველების კულტურა	5
	ჯამი	100

აპლიკანტმა სადოქტორო პროგრამაზე ჩასარიცხად უნდა მოაგროვოს მინიმუმ 51 ქულა. თითოეული კომპონენტისთვის შეფასების რუბრიკები წარმოდეგნილია ქვემოთ.